საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1072/01
07/02/2022

1072-01-2-202202071128

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 14 იანვრის №399 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდში, მდ. ცხენისწყლის ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის ადგილმდებარეობის" თავში მითითებულია, რომ საპროექტო ქვაყრილი ბერმის სიგრძეა 400 მ, ამასთან, ამავე თავში (გვ. 4) აღნიშნულია, რომ ქვაყრილი ბერმის სიგრძეა 500 მ. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების საფუძველზე დგინდება, რომ ქვაყრილი ბერმის სიგძე შეადგენს 395 მ-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ქვაყრილი ბერმის სიგრძე;
- დასაზუსტებელია, თუ საიდან მოხდება ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, მათ შორის ქვაყრილში გამოსაყენებელი ფლეთილი ქვების შემოტანა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეულობის მოჭრის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044